

შპს დე სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი



შპს დგ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2022

საქმიანობის შედეგები 31.12.2022

განმარტებითი შენიშვნები



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;



შპს დე სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

ხელმძღვანელი დირექტორები (სახელი ,გვარი)--- დავით რაზმაძე და ვახტანგ ლაშვი
მთავარი ბუღალტერი (სახელი ,გვარი)--ლუიზა თავყელიშვილი

ბ.ა



დავით რაზმაძე
ვახტანგ ლაშვი

ლუიზა თავყელიშვილი

შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : შპს დვ სპორტი , ს/ნ : 202217127 (დაარსდა 2003 წლის ნოემბრის თვეში). კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით რაზმაძე - 50 % წილის მფლობელი და ვახტანგ ლაშხი-50 % წილის მფლობელი.

იურიდიული მისამართი : ქ.თბილისი ბელაიაშვილის ქ.85

ფაქტიური მისამართი : ქ.თბილისი ბელაიაშვილის ქ. 85

საქმიანობის ძირითადი სფერო : (NACE) კოდი -47640 , საცალო ვაჭრობა სპორტული მოწყობილობებით სპეციალიზირებულ მაღაზიებში.

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი

ანგარიშების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2022 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.



ფინანსური ანგარიშება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს საღაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირები ს,გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად .

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.



გადახდილი ავანსები

აღირციხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპი დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო შეწონილი“

დაუშვავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალაები ჩამოწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში, მათ არ ერიცხებათ ცვეთა, მაგრამ იღებენ მონაწილეობას ქონების გადასახადში.

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს



-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი ,ტელ.აპარატი და სხვა)

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები ,დისკები ,ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს ან საოფისე ხარჯებს

მასალები რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას მომსახურების სერვისში და გამოიყენება თხილამურისა და სნოუბორდის შეკეთება-აღდგენაში ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე

სამშენებლო მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სატადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს :ნასყიდობის ფასს ,განზაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს ,ტრანსპორტირების ,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხაჯრებს
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაშ ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .
-



არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ,რომელიც მოიცავს ნასყიდბოს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული



შპს დე სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება -----ლარის კრედიტორული დავალიანება

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახეული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .
- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღირიცხვის შინაარსი -ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის



- შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

კაპიტალი

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საქრმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები, გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღების თანავე (კრების ოქმი). მოგების



გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით “მოგების გადასახადი” წარდგენილი იქნება საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგალითად: გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.



საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებად პროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.



ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	2022	2021	2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	654154	868388	241628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	545278	116815	218808
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	320554	107466	144851
მარაგები		4918472	4062015	4394056
მზა პროდუქცია			0	0
სხვა	4	4918472	4062015	4394056
საინვესტიციო ქონება			0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	56585	55256	67709
სხვა არამატერიალური აქტივები			7	132
ძირითადი საშუალებები	6	1787170	2765294	3018364
სხვა გრძელვადიანი აქტივები			0	0
სულ აქტივები		8282213	7975241	8085548

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება			0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	116867	59022	63550
ანარიცხები			0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			0	0
საგადასახადო ვალდებულებები	8	124088	268912	0
გამომუშავებული შემოსავალი			0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			0	16427
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9	249828	2475720	5045927
მიღებული გრანტები			0	0
სხვა ვალდებულებები			0	0
სულ ვალდებულებები		490783	2803654	5125904

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი			0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები			0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		7335939	4101217	1889274
გადაფასების რეზერვი	10	453491	1068370	1068370
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		7791430	5171587	2959644



სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8282213	7975241	8085548
---	--	---------	---------	---------

სულ მოკლევადიანი აქტივები	922417	279537	431368
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	240955	327934	79977



**შპს დვ სპორტი-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	2022	2021
ნეტო ამონაგები	11	7600991	6932131
საქონლის გაყიდვიდან		7547759	6896990
მომსახურების გაწევიდან		53232	35141
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება		-3477255	-3436436
საერთო მოგება		4123736	3495695
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12	1382961	63825
დასაქმებულთა ანაზღაურება		-842176	-595691
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-240390	-282156
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	13	-52985	-235398
იჯარის ხარჯი		-3559	-1484
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	-354489	-248810
სულ საოპერაციო ხარჯები		-110638	-1299714
საოპერაციო მოგება		4013098	2195981
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	15	2875	576516
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	-38561
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		4015973	2733936
მოგების გადასახადის ხარჯი		-117177	-80020
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		3898796	2653916
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-614879	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-614879	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		3283917	2653916
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		5171587	2959644
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში ' კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0



განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-664000	-440592
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-74	-1381
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		7791430	5171587



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		-214234	626760
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		-214234	626760
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		868388	241628
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		654154	868388



ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა # 1)

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს საღაროში.

2022 წლის საბანკო ანგარიშზე ფიქსირდებოდა ლარი-სავალუტო ანგარიშზე უცხოური ვალუტის ექვივალენტი ლარში (31.12.2022-ის კურსით \$-2.702 და EUR-2.8844)

ნაღდი ფული საღაროში	4818.80
თიბისი ბანკი	466945.64
პროკრედიტ ბანკი	165409.83
საქართველოს ბანკი	12053.68
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	2382.46
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	2543.61
საერთო ჯამი	654154

2. სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა #2)

იურიდიული პირები	509140.58
ფიზიკური პირები	36137.5
საერთო ჯამი	545278

კომპანიას აქვს დებიტორული დავალიანებები კომპანიებთან, რომლებიც ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ და ასევე ფიზიკურ პირებთან



3. ავანსები (შენიშვნა #3)

წინასწარ გადახდილი დაზღვევა	977.31
წინასწარ გადახდილი ჟურნალ-გაზეთები	168
საქონლის მომწოდებლებთან გადარიცხული ავანსები	318658.55
წინასწარ გაცემული თანხა სხვადა სხვა მომსახურებაზე	750
საერთო ჯამი	320554

კომპანია საქონელს იძენს არარეზიდენტ საწარმოსგან, ახორციელებს იმპორტს .31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გადარიცხული ქონდა საქონლის შესყიდვის ავანსები.

4. მარაგები (შენიშვნა# 4)

მარაგები	4918472
----------	---------

კომპანია ვაჭრობს სპორტული ინვენტარით და ასევე ახორციელებს სხვა და სხვა მომსახურებას: თხილამურისა და სნოუბორდის გაქირავება, თხილამურისა და სნოუბორდის რემონტი, საბარგულის მონტაჟი, ველო რემონტი, ჩოგნის სიმის დაჭიმვა, მედლის აწყობა, სატრანსპორტო მომსახურება.

გასაყიდათ განკუთვნილი საქონელი	4866712.11
საწვავი	4176.9
მაღაზიის გასაფორმებლად განკუთვნილი საქონელი	9715.92
სასაჩუქრე ბარათები	2614.84



სარემონტო მასალა (რომელიც გამოიყენება მომსახურების განსახორციელებლად . აქ არის გაერთიანებული როგორც ხარჯვადი მასალა ასევე მცირეფასიანი ხელსაწყოები) 35251.91

საერთო ჯამი 4918472

5.სხვა მოკლევადიანი აქტივი (შენიშვნა #5)

სხვა მიმდინარე აქტივი 56585

შედგება სხვა მიმდინარე აქტივისგან სადაც გაერთიანებულია მცირეფასიანი აქტივები, ამ აქტივებს არ ერიცხება ცვეთა, მაგრამ ერიცხება ქონების გადასახადი.

6.ძირითადი საშუალებები (შენიშვნა # 6)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა	2022 წლის საწყისი	შეძენა (გადაფასება)	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
შენობა 1.	2168090.92	504231.17	1772264.3			108404.55	1663859.8
შენობა 2.	1363172.52	584889.99	812361.84		778282.53	34079.31	0
ბაგებობა	1996.62	133.91	1942.57			79.86	1862.71
კავშირგაბმულობის მოწყ.	2392.37	2360.49	271.12			239.24	31.88
კომპიუტერული ტექ. და პერიფ.მოწყ.	60337.65	48309.9	15673.4	6679.54	7382.25	3645.65	11325.04
ოფისის აღჭურვილობა	186856.85	180216	40259.79		390	33618.94	6250.85
ავტო	70643.75	53310.26	25486.5	15878.81	10765.24	8153.01	22447.06
ინვენტარი	307243.85	259205.56	88333.62	16704.9	7478.14	40295.33	57265.05



სხვა ამორტ.

ძირით.

საშუალებები	95747.84	78751.65	25656.28	2681.8	3034.05	8660.09	16643.94
ავტოსატრანსპორტო							
საშუალება	29504.70	22021.23	10690.67			3207.20	7483.47
არამატერიალური აქტივი	2526.27	2526.27	7.25			7.25	0
	4288513	1735956	2792947	41945	807332	240390	1787170

7. სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა # 7)

სავაჭრო ვალდებულებები - **116867**

სასაჩუქრე ბარათების რეალიზაციიდან
წარმოქმნილი ვალდებულება **26590**

უნაღდო ანგარიშსწორებით წინასწარ
ჩარიცხული თანხები **25675**

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.
ვალდებულება **49271.53**

საქონლის მომწოდებლებს მიმართ
წარმოქმნილი ვალდებულება **15330.06**

8. საგადასახადო ვალდებულება (შენიშვნა #8)

საგადასახადო ვალდებულება -- **124088**

2022 წლის დეკემბრის თვის რეალიზებული საქონლის
ვადამდგარი ღირსება და მოგების გადასახადი. (რომელიც დაიფარა
2023 წლის იანვრის თვეში)

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (შენიშვნა # 9)



გრძელვადიანი მიმდინარე სასესიო ვალდებულება (ბანკის)- 249828

10. სხვა რეზერვები (შენიშვნა # 10)

შენობის გადაფასების რეზერვი:

შენობა 1.-- 453491 ლარი

შენობა 2.-- 0 ლარი

ჯამი---453491

კომპანიას კაპიტალში შექმნილი აქვს გადაფასების რეზერვი.

შენობა # 2- 2023 წელს იყო გაყიდული შესაბამისად გადაფასების რეზერვი იყო შემცირებული

11. ნეტო ამონაგები (შენიშვნა # 11)

ნეტო ამონაგები შედგება საქონლის გაყიდვიდან -7547759ლარი და მომსახურების გაწვიდან-53232 ლარი. რაც ჯამში შეადგენს -- 7600991 ლარს.

12. სხვა საოპერაციო შემოსავალი (შენიშვნა # 12)

სხვა საოპერაციო შემოსავალი
(არარეზიდენტებისაგან მიღებული 1377920.25
ფასდათმობა, ძირითადი საშუალებების
გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

კონვერტაციიდან მიღებული
შემოსავალი

5040.75



სხვა შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის
არასაოპერაციო შემოსავალს

13.საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა # 13)

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი ბანკში
და გაწეულ იქნა საპროცენტო ხარჯი

52985

**14.ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
(შენიშვნა # 14)**

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	354489
რეკლამის ხარჯი	1048.79
კომუნალური ხარჯები	45070.89
კომუნიკაციის ხარჯი	2341.84
მივლინების ხარჯი	37705.95
კრედიტის აღებასთან დაკავშირებული ხარჯი	2593.86
საბანკო ხარჯი	122492.69



ადმინისტრაციული ხარჯი (დაცვის,
ინტერნეტის,ავტომობილის,საღარო
აპარატის მომსახურების,ნოტარიუსის,
საოფისე,საკანცელარიო,საფოსტო,
ბუღალტრული პროგრამის ა და სხვა.....)

47267.62

საწვავის ხარჯი 2253.96

სხვა ხარჯი 11340.13

საგადასახადო ხარჯი:

რეციკლირების ხარჯი 50

მიწის გადასახადი 288

ქონების გადასახადი 32506.89

საპენსიო ანარიცხები 7662.07

კონვერტაციის ხარჯი 41866.31

ჯამი : 354489

**15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო
ოპერაციებიდან (შენიშვნა # 15)**

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) **2875**
სავალუტო ოპერაციებიდან

კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულება ბანკის მიმართ,
სესხის სახით, რომელიც არის უცხოურ ვალუტაში (ევროში), 31
დეკემბრის მდგომარეობით სესხის გადაფასება იწვევს საკურსო
სხვაობას.



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	654,154	868,388	241,628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	545,278	116,815	218,808
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	320,554	107,466	144,851
მარაგები	4,918,472	4,062,015	4,394,056
- მზა პროდუქცია	4,918,472	4,062,015	4,394,056
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	56,585	55,256	67,709
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები		7	132
ძირითადი საშუალებები	1,787,170	2,765,294	3,018,364
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	8,282,213	7,975,241	8,085,548

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	116,867	59,022	63,550
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	124,088	268,912	
გამოუმუშავებელი შემოსავალი			



მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			16,427
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	249,828	2,475,720	5,045,927
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	490,783	2,803,654	5,125,904

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,000	2,000	2,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	7,335,939	4,101,217	1,889,274
გადაფასების რეზერვი	453,491	1,068,370	1,068,370
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი	7,791,430	5,171,587	2,959,644
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8,282,213	7,975,241	8,085,548

სულ მოკლევადიანი აქტივები	922,417	279,537	431,368
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	240,955	327,934	79,977

**ფორმა N2- კონსოლიდირებული
საქმიანობის შედეგები**

	საანგარიშგებ ო პერიოდი 2022	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი 2021
ნეტო ამონაგები	7,600,991	6,932,131
საქონლის გაყიდვიდან	7,547,759	6,896,990



მომსახურების გაწევიდან	53,232	35,141
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	(3,477,255)	(3,436,436)
საერთო მოგება	4,123,736	3,495,695
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,382,961	63,825
დასაქმებულთა ანაზღაურება	(824,176)	(595,691)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(240,390)	(282,156)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	(52,985)	(235,398)
იჯარის ხარჯი	(3,559)	(1,484)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(354,489)	(248,810)
სულ საოპერაციო ხარჯები	(110,638)	(1,299,714)
საოპერაციო მოგება	4,013,098	2,195,981
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	2,875	576,516
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(38,561)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4,015,973	2,733,936
მოგების გადასახადის ხარჯი	(117,177)	(80,020)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,898,796	2,653,916

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი

(614,879)



სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადაასახდელიანი პროგრამები).		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	(614,879)	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3,283,917	2,653,916

მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მოგება (ზარალი)		
მოგება / (ზარალი)		

მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნილებელი მთლიანი შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5,171,587	2,959,644
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(664,000)	(440,592)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(74)	(1,381)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7,791,430	5,171,587



**ფორმა N3 - კონსოლიდირებული
ფულადი სახსრების მოძრაობა**

	საანგარიშგებ ო პერიოდი 2022	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი 2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(214,234)	626,760
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(214,234)	626,760
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	868,388	241,628
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	654,154	868,388



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	654154	868388	241628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	545278	116815	218808
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	320554	107466	144851
მარაგები	4918472	4062015	4394056
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	4918472	4062015	4394056
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	56585	55256	67709
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	7	132
ძირითადი საშუალებები	1787170	2765294	3018364
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	8282213	7975241	8085548
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	116867	59022	63550
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	124088	268912	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	16427
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	249828	2475720	5045927
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	490783	2803654	5125904
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0



გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი
ზარალი)

გადაფასების რეზერვი	7335939	4101217	1889274
კომპონენტები	453491	1068370	1068370
სულ საკუთარი კაპიტალი	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი და	7791430	5171587	2959644
ვალდებულებები	8282213	7975241	8085548
სულ მოკლევადიანი აქტივები	922417	279537	431368
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	240955	327934	79977



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	7600991	6932131
საქონლის გაყიდვიდან	7547759	6896990
მომსახურების გაწევიდან	53232	35141
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3477255	-3436436
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4123736	3495695
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1382961	63825
დასაქმებულთა ანაზღაურება	-842176	-595691
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-240390	-282156
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-52985	-235398
იჯარის ხარჯი	-3559	-1484
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-354489	-248810
სულ საოპერაციო ხარჯები	-110638	-1299714
საოპერაციო მოგება	4013098	2195981

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	2875	576516
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-38561
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	4015973	2733936
მოგების გადასახადის ხარჯი	-117177	-80020
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3898796	2653916

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	-614879	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ		
გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-614879	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	3283917	2653916
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5171587	2959644



ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა ' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-664000	-440592
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-74	-1381
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7791430	5171587



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-214234	626760
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-214234	626760
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	868388	241628
	654154	868388

